ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
ოქმი № 9

ქ. ლანჩხუთი

20.12.2023 წელი

16.00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი;**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, ელისო ჭიჭინაძე, დარეჯან ბურჭულაძე, ლოლიტა ურუშაძე, კარლო წილოსანი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით სულაქველიძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ტარდება ამ წლის ბოლო სხდომა. მან მადლობა გადაუხადა კომისიის ყველა წევრს და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის წარმომადგენლებს მეგობრობისთვის, ურთიერთობისთვის და გაწეული შრომისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

4. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 19729,7 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4608.7 თასი ლარით (30.5 %-ით).

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12824,7 ათასი ლარით;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 11,1 %-ით (1285,7 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1500,0 ათას ლარს;

2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 300 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 1953,6 ათასი ლარით, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი (მიზნობრივი) 270.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინასებაზე;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 326.4 ათ ლარით შემცირდა.

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 340,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

რენტა 290,0 ათასი ლარი;

პროცენტები 50 ათასი ლარი

2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი შენარჩუნებულია.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 52,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 30,0 ათასი ლარი;

აღნიშნული შემოსავლები 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 3467.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია მოსალოდნელი შესრულების გათვალიწინებით.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირსაგამტეხლოდან) 176,0 ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 79,0 ათასი ლარს;

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 21900,3 ათას ლარს (2023 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 4042,6 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 3014,1 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 573,6 ათასი ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -397,3 ათასი ლარი;

გარე განათება - 850,4 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებები-172,0 ათასი ლარი;

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 125,5 ათ ლარი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 395,3 ათასი ლარი:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 400 ათასი ლარი

ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათასი ლარი

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2474,5 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2177,4 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 277,1 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

განათლება - 4279,6 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 4233,1 ათასი ლარი;

განათლების ხელშეწყობა - 46,5 ათასი ლარი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4589,5 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2236,2 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -2323,3 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -30,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდების ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1236,1 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 270,0 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის

დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არა გადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სოციალური პროგრამები - 966,05 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:

	ათასი / ლარი/
ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი	16,0
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	40.0
სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	160.0
ცენტრ ,, იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა	15.8
მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	20.0
მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	140.0
იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	15.3
ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	57.0
მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	80.0
,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა"	54,95
100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	4,5
მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	50
უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	2.5
ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა	30.0
შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	20.0
ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	100.0
გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	3.0
სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა	7.0
მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	3.0
0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლ ბავშვების და შშმ ბავშვების , რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	3.2
ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა	10,8
აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	93,0

რისკის ქვეს მყოფი 0-18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა	40.0

მმართველობა - 6306,7 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1392,5 ათასი ლარი;

მერია - 4391,9 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 90,0 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -31,9 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 20,0 ათასი ლარი

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 342.3 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

სულ	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	21900,3
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6306,7
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5784,4
01 01 01	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1392,5
01 01 02	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია	4391,9
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	522,3
01 02 01	სარეზერვო ფონდი	70.0
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	20.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	90.0
01 02 05	ტურიზმის განვითრების ხელშეწყობა	342,3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	3014,1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	573,6
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	200
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	373,6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	397,3
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	230,0

02 02 02	წყლის სისტემის ექსპლოატაცია	167,3
02 03	გარე განათება	850,4
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია	840,4
02 03 02	კაპიტალური დაბანდება გარე განათების სფეროში	10
02 04	მშენებლობა ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	400
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	400
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	172,0
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	100
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	60.0
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოტაცია, რეაბილიტაცია	12.0
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	125,5
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	395,3
02 11	ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	100
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2474,5
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2177,4
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	277,1
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	20.0
04 00	განათლება	4279,5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4233,1
04 03	განათლების ხელშეწყობა	46,5
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4589,5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2236,2
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1563,2
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	718,6
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	215
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	175
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	454,6
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	73
05 01 03	კაპიტალური დაბანდებების სპორტის სფეროში	600
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2323,3
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1952,3
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	1424,4
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	527,9

05 02 02	კულტურის ხელშეწყობა	31.0
05 02 03	კაპიტალური დაბანდება კულტურის სფეროში	300
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეყწობა	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	30.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1236,1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	270
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	270
06 02	სოციალური დაცვა	966.1
06 02 01	ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი	16
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	40.0
06 02 03	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	160.0
06 02 04	ცენტრ ,, იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა"	15.8
06 02 05	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	20.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	140.0
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	15.3
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	57.0
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	80
06 02 10	,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა"	55
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	4,5
06 02 12	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	50
06 02 13	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	2.5
06 02 14	ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა	30.0
06 02 16	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	20.0
06 02 17	ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	100.0
06 02 18	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	3.0
06 02 19	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა	7.0

06 02 20	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	3.0
06 02 21	0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლ ბავშვების და შშმ ბავშვების , რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	3.2
06 02 22	ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა	10,8
06 02 23	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	93,0
06 02 25	რისკის ქვეშ მყოფი 0 დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა	40.0

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაფინანსება განსაზღვრულია 583,6 ათასი ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6692,4 ათასი ლარი;
ეკონომიკური საქმიანობა - 799.1 ათასი ლარი;
გარემოს დაცვა - 2454,5 ათასი ლარი;
საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 2235,0 ათასი ლარი;
ჯანმრთელობის დაცვა - 270,0 ათასი ლარი;
დასვენება, კულტურა და რელიგია-4589,5 ათასი ლარი;
განათლება -4419,3 ათასი ლარი;
სოციალური დაცვა -966,1 ათასი ლარი;

კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** დაინტერესდა, 80000 ლარი მთლიანად მოხმარდება თუ არა ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაციას, რაზეც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ თავიდან ბიუჯეტში წარმოდგენილი იყო 50000 ლარი, დაემატა 80000 და გახდა 130000 ლარი. თანხის განაწილება კი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა დასკვნა იქნება დადებული ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სოფლებში - აცანაში, ჩოჩხათსა და მამათში არის ახლად გარემონტებული, თანამედროვე ბიბლიოთეკები.

კომისიის წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ზამთრის პერიოდში მუნიციპალიტეტი ყოველთვის არის ექსტრემალურ პირობებში. არ არის საკმარისი ტექნიკა, რომ გაიწმინდოს გზები. ის დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ტექნიკის შეძენა, რაზეც **როლანდ ლაშხიამ** გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ 300000 ლარი იყო გამოყოფილი აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, რაც არ იყო საკმარისი თანხა და დაემატა 250000 და გახდა 550000 ლარი. ახლა იგეგმება არა მეორადი, არამედ ახალი 2 ერთეული ეგრეთ წოდებული „ჯისიპი“-ს შეძენა, ხოლო რაც შეეხება თანხას, ზამთრის პერიოდისთვის თანმდევი პრობლემების მოსაგვარებლად, ამისთვის გამოყოფილია 200000 ლარი.

კარლო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს ქალაქ ლანჩხუთში დაიგო 9 ქუჩა, მოეწყო ბაკურის გზა, იგეგმება ბაზრის, ავტოსადგურის და სპორტული დარბაზის მშენებლობა,

იზრდება ბიუჯეტი 4 მლნ. ლარით. მან მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, ვინც მუშაობს ამ ყველაფერზე და დეპუტატებიც ხელს უწყობენ მათი ქმედებით.

კომისიის წევრმა **ნინო მშვიდობაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქში შიდა გზების მოწესრიგების გამო მოსახლეობა არის ძალიან მადლობელი.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ საკითხი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;

დ) ცენტრ „იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა;

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;

კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

პ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

ჟ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა

რ)გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.

ს) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა.

ტ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა.

უ) 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

ფ)ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა.

ქ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეგილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

ღ) რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა.

კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** განაცხადა, რომ სოციალურ საკითხთა კომისიის ინიციატივა იყო, მომხდარიყო ბიოფსიის კვლევის დაფინანსება, რასაც მუნიციპალიტეტის მერიც დაეთანხმა და დადებითად გადაწყდა საკითხი.

კომისიის წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** მადლობა გადაუხადა მერიის სოციალური სამსახურის უფროსს და აღნიშნა, რომ თამარ ფირცხალაიშვილი ღირსეულად უძღვება სამსახურს. ის დაინტერესდა, თუ რა პროგრამით ისარგებლებს სკრინინგ ცენტრში მოხვედრის შემთხვევაში სოციალურად დაუცველი პაციენტი, რაზეც მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** გააკეთა განმარტება, რომ თუ პაციენტი არის სოციალურად დაუცველი, მისი გადამისამართება მოხდება იმ კლინიკაში, სადაც იმყოფება აღრიცხვაზე. **ელისო ჭიჭინაძე** აგრეთვე დაინტერესდა, თუ როგორ ხდება ინფორმაციის გადამოწმება, თუ რა პაკეტით სარგებლობს პაციენტი, რაზეც **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, სკრინინგ ცენტრს აქვს დაავადებათა კონტროლის ცენტრის საყოველთაო ბაზის პორტალთან წვდომა, რაც იძლევა მონაცემთა გაცვლის შესაძლებლობას.

კომისიის წევრმა **ნინო მშვიდობაძემ** მადლობა გადაუხადა სოციალური სამსახურის უფროსს გაწეული მუშაობისთვის და განაცხადა, რომ იმდენად ამომწურავი პროგრამაა წარმოდგენილი, რომ არც ერთი სფერო არ არის დარჩენილი და ის მოხარულია, რომ ბავშვებზე არის გაკეთებული დიდი აქცენტი. მას საამაყოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ სოციალური პროგრამით - კერძოდ, აუტისტური სპექტრის პროგრამით, ქვეყნის მასშტაბით ჩვენი რაიონი, 62 მუნიციპალიტეტიდან მოხვდა საუკეთესო ხუთეულში.

მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ ბავშვების საჭიროება ყველაზე უფრო გასათვალისწინებელია და რომ ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ცხოვრობდეს ოჯახურ გარემოში და არ იყვნენ სახელმწიფო ზრუნვაში. ბავშვს უფლება აქვს მიიღოს განათლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით და იყოს ადაპტირებულ გარემოში, კონკრეტული ვალდებულებების და უფლებების შესახებ ჰქონდეს მეტი ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **დავით სულაქველიძემ** და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების ცვლილების პროექტის მე-4 მუხლს, მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს, მე-5 პუნქტი შემდეგი სახით: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის წარმატებული მოსწავლე - ახალგაზრდისა და მათი ხელმძღვანელი/ პედაგოგის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული, პირველი ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდო - 300 ლარი;

ბ) საერთაშორისო მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე, გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდო -500 ლარი;

გ) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი მონაწილე გუნდის ფულადი ჯილდო-500 ლარი;

დ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი მონაწილე გუნდის ფულადი ჯილდო – 700 ლარი

ე) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე, გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილის ხელმძღვანელი/ პედაგოგის ფულადი ჯილდო - 200 ლარი; გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ვ) საერთაშორისო მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე, გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილის ხელმძღვანელი/ პედაგოგის ფულადი ჯილდო-300 ლარი;

ზ) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი გუნდის ხელმძღვანელი/პედაგოგის ფულადი ჯილდო -200 ლარი;

თ) საერთაშორისო მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი გუნდის ხელმძღვანელი/პედაგოგის ფულადი ჯილდო-300 ლარი“.

ნინო მშვიდობაძემ მადლობა გადაუხადა კულტურის სამსახურს გაწეული შრომისთვის და დააყენა წინადადება, რომ საფო მგელაძის სახელობის ლიტერატურული ფესტივალი ჩატარდეს მომავალ წელს.

დავით სულაქველიძემ აღნიშნა, რომ წარმოსადგენია პროექტი, რომლის მოწონების შემთხვევაში თანხა დაემატება პროგრამაში და მოხდება პროექტის დაფინანსება.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა.

ნინო მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ ებრალიძის ქუჩაზე, კორპუსის სარდაფში დგება წვიმის წყალი და მოსაწესრიგებელია პრობლემა.

ლოლიტა ურუშაძემ აღნიშნა, რომ წმინდა ნინოს ქუჩაზე ხიდთან მისასვლელი არის მოსაწესრიგებელი და მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გასულ წელს მოხდა შავი საფარის დაგება, საჭიროა მოაჯირის მოწყობა.

დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ აგარაკში, დუმბაძის ქუჩაზე, ხიდს და მის მიმდებარე ტერიტორიას აუცილებლად ესაჭიროება გაბიონი.

დარეჯან ბურჭულაძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ქალაქის სკვერში კარგი იქნება, თუ რამდენიმე ნაძვი შეიფუთება საახალწლო ნათებით და მუდმივად იქნება განათებული.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: /კარლო კვიტაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №9 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი 20.12.2023 წ.

2023 წლის 20 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს 2023 წლის 22 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — კარლო კვიტაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

20.12.2023 წელი
16:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. კარლო კვიტაიშვილი	15^{55}	
2. ნინო მშვიდობაძე	15:58	
3. დარეჯან ბურჭულაძე	15^{54}	
4. ლოლიტა ურუშაძე	15^{55}	
5. კარლო წილოსანი	15:55	
6. ირმა მგელაძე	არ ესწრებოდა	
7. მაკა მშვიდობაძე	არ ესწრებოდა	
8. გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	
9. რევაზ კვერენჩხილაძე	არ ესწრებოდა	
10. ელისო ჭიჭინაძე	15—	